საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№116 (6342) 27 სექტემბერი 1990 წელი ხუთშაბათი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

*ჩვენი წარდგინება

წმინდა ილია მართლის საზოგადოება

(II გვ.)

* სახელოვანი ლეჩხუმელი ქალები

„ბანოვანი"

(III გვ.)

*ვაგრძელებთ პუბლიკაციას

საირმის კლდეთა საიდუმლოება

(IV გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

როგორც ვიუწყებოდით, გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს კომპარტიისს XXVIII ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების, პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების, რიგი პირველადი ორგანიზაციების პარტიული კომიტეტის მდივნების ერთობლივი სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი:

საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამის დამტკიცების, დეპუტატობის კანდიდატთა სიისა და კომპარტიის მიმდინარე ამოცანების შესახებ.

სხდომამ დაადგინა:

1 მოწონებულ იქნეს და გამოქვეყნდეს პარტიულ პრესაში საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამა.

2. მიღებულ იქნეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების, ფართო პარტიული აქტივისა და საზოგადოებრიობის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების სია საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან.

დაევალოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით მისცეს სიას საბოლოო სახე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარსადგენად.

3. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკული საქმიანობის მთავარ ამოცანად ჩაითვალოს წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობა, პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის პროპაგანდა და კომპარტიისაგან დეპუტატების კანდიდატთა ყოველმხრივი მხარდაჭერა.

4. საოლქო, საქალაქო, რაიონულმა პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა იხელმძღვანელონ საქართველოს კომპარტიის ყრილობის პირველ ეტაპზე განხილული და მოწონებული საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული წყობის დოკუმენტებით.

გზა გაეხსნა რეზერვებს

ცაგერის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა, მომსახურების ფორმები, მუშაკთა შრომის ანაზღაურება აშკარა დასტურია იმისა, თუ რა შეუძლია დამოუკიდებელმა შრომამ, თვითანაზღაურებაზე გადასვლამ მოუტანოს საწარმოს. სწორედ ამ საკითხებზე გვქონდა საუბარი საწარმოს ეკონომისტთან ო. სილაგაძესთან, რომელმაც გვითხრა:

საწარმო 1989 წლიდან გადავიდა თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე. თავიდან, შეუჩვეველი ჭირისა არ იყოს, ვშიშობდით, გვაფიქრებდა დამოუკიდებლობა, შრომის ახლებურ ფორმაზე გადასვლა. ეს სიახლე რომ სასარგებლო იყო, ამაში საანგარიშო დარგის მუშაკების დარწმუნება შედარებით ადვილი გახდა, მაგრამ მუშათა კოლექტივში პირველ ხანებში ერთგვარი დისონანსი კი შეიტანა.

პირველ რიგში აუცილებელი გახდა საღრიცხვო-ეკონომიკური სამსახურის მოგვარება, მთლიანად იქნა ამოღებული დებიტორული დავალიანება, შემუშავდა ახალი ციკლის ნორმები, შემოვიღეთ ახალი ტარიფები, თანამდებობრივი სარგოები, მმართველობითი აპარატი შევამცირეთ 35 პროცენტით. მიღებულ იქნა ზომები საწარმოში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელებისათვის.

წინა პლანზე იქნა წამოწეული კოლექტივის წევრთა ინტერესები, თითოეული მათგანი დავარწმუნეთ იმაში, რომ ის, რასაც ეკონომიით, სახსრების ყაირათიანი ხარჯვით მივაღწევთ, უკლებლივ ყველაფერი კოლექტივის წევრთა საკუთრებაა, მას ვერავინ ვერ შეეხება.

გავიდა გარკვეული დრო, ახლა უკვე, ახლებურ შრომაზე გადასვლის ერთი წლისა და 8 თვის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თუ ადრე, 2-3 წლის წინ, სასაქონლო მატერიალური ფასეულობის შესაძენად და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების გასაცემად ყოველთვის სახელმწიფო ბანკის სესხებს ვსაჭიროებდით, ამასთან სესხით სარგებლობის პროცენტს და გადავადებისას კი საურავს წარმოებით მიღწეული მოგება მთლიანად მიჰქონდა, ამჟამად ბანკის სესხს საერთოდ არ ვსაჭიროებთ. დღეისათვის საწარმოს თავისუფალი სახსრების სახით ბანკში 113 ათასი მანეთი აქვს. მარტო მიმდინარე წლის 8 თვეში ჩვენი სახსრებით შევიძინეთ ორი ექსკავატორი, 1 ავტომანქანა, ავაშენეთ 100 ტონის ტევადობის წყლის სახანძრო რეზერვუარი, საქმიან ეზოს შემოვავლეთ დეკორაციული ბეტონის ღობე.

გასული და მიმდინარე წლების 8 თვის რენტაბელური მუშაობით შეიქმნა იმდენი ფულადი ფონდები, რაც წინა ათწლეულებში ძლივძლივობით თუ იქმნებოდა. უკვე პირველი სექტემბრისათვის მატერიალური წახალისებისა და დაჯილდოების თავისუფალ ფონდში გვაქვს 8 ათასი მანეთი, სოციალურ-კულტურული და საბინაო მშენებლობის ფონდში—12 ათასი მანეთი, წარმოების განვითარებისა და ახალი ტექნიკის ფონდში—48 ათასი მანეთი, რემონტის ფონდში კი—45 ათასი მანეთი, რაც სრულ საფუძველს ქმნის საწარმომ შეუფერხებლად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე განაგრძოს მუშაობა.

ახლა კონკრეტულად იმის შესახებ, თუ რა საქმიანობას ეწევა მანქანა-ტრაქტორ თა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმო. ჩვენთან ფუნქციონირებს მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მომსახურება, მეცხოველეობის ფერმების ტექნიკური მომსახურებისა და შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, სატრაქტორო მექანიზირებული სამუშაოები. ჩამოთვლილი ყველა დარგის გეგმები გადაჭარბებით სრულდება და რენტაბელურია, კერძოდ, მიმდინარე წლის 8 თვეში ნაცვლად 108,6 ათასი მანეთისა, რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს გაეწია 141,8 ათასი მანეთის მომსახურება.

დასასრული მე-3 გვერდზე.

ჩვენი დღეების ადამიანები

მიწა სოფელში გვამკვიდრებს

მიწა ჩვენი მარჩენალია, მიწის გარეშე, მასთან ურთიერთობის გარეშე არ შეიძლება გაჯანსაღდეს ჩვენი ეკონომიკა, განიმუხტოს ის დაძაბული ვითარება, რაც დღევანდელი საქართველოს ეკონომიკურ თუ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სუფევს.

მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზა მხოლოდდამხოლოდ სოფელზე გადის, სოფლის მშრომელთა ერთგული და თავდადებული შრომაა საჭირო, რომ სასურსათო პროდუქტები დაგროვდეს, კრიზისი რაც შეიძლება მალე აღმოიფხვრას.

ქვეყნისა და ხალხის სასარგებლო შრომაშია ჩაბმული ალპანელი რუბენ ფრუიძე, რომელიც საქმით, მხოლოდ პრაქტიკული საქმიანობით ამტკიცებს თავის მხარდაჭერას იმ სასიკეთო ძვრებისადმი, რაც აგრარულ სექტორში, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ხდება.

რუბენ ფრუიძეს საქმისმოყვარე, სინდის-ნამუსით სავსე კაცად იცნობენ თანასოფლელები, ამას ამტკიცებს კიდეც შინ და გარეთ მისი შრომა-საქმიანობა, მუყაითობა, თანასოფლელებთან ურთიერთობა, ალალი, გულღია ხასიათი. ყველაფერი კარგად, გულიანად და ხარისხიანად აქვს გაკეთებული თავის კარ-მიდამოში.

აქვს იჯარით აღებული ზვარი და ყანა, შრომა არ ეზარება და ასეთ კაცს არც უჭირდა და არც არასოდეს გაუჭირდება. ოთხი შვილი იზრდება ამ შრომით ნაქებ ოჯახში. ორი, უფროსები დაოჯახებული არიან, მომდევნო ბიჭები კი სკოლის მოსწავლეებია. ოჯახის ბურჯი და დედაბოძი მაინც დედაა ყოველთვის, რუბენის მეუღლე ეთერი მართლაც ბურჯად ედგას თავის მრავალრიცხოვან ოჯახს, ყოველწლიურად იწევს აბრეშუმის პარკის მოსავალს. რუბენის ოჯახში გლეხკაცის განუყრელი მეგობარი ხარიცაა და მისი თანამედროვე კონსტრასტული ანალოგი მსუბუქი ავტომანქანაც.

ყველამ ასე უნდა იშრომოს, ყველამ, თითოეულმა მშრომელმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს იმ დიდ საქმეში, რასაც საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა ჰქვია.

რუბენის მშობლიური სოფელი ალპანა, ლეჩხუმის სხვა სოფლებთან შედარებით, ხალხმრავალი სოფელია. სწორედ ძლიერი და ხალხმრავალი უნდა გახდეს ჩვენი სოფლები, რომ წარმატებით გადავვრათ ყველა ის პრობლემა და საჭირობოროტო საკითხი, რაც დღეისათვის ჩვენს წინაშე დგას.

ჯ. მანდარია.

ყველას, ყველას, ყველას!

30 სექტემბერს, კვირას დანიშნულია ეროვნული კონგრესის არჩევნები. ეროვნული კონგრესი უნდა გახდეს ქართველი ხალხის ნების გამომხატველი ორგანო, რომელმაც წარმატებით უნდა დააგვირგვინოს მისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

ცაგერის რაიონში შექმნილია ეროვნული კონგრესის არჩევნების საარჩევნო უბნები, რომელთა საზღვრები ემთხვევა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო უბნებს.

მამულიშვილნო! მოგიწოდებთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ეროვნული კონგრესის არჩევნებში. თქვენი მისვლა საარჩევნო უბანში ნიშნავს თქვენს პასუხისმგებლობას ერის წინაშე.

ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრი.

ჩვენი ნარკვევები

წმინდა ილია მართლის საზოგადოება

ჯერ კიდევ 1987 წელს, როცა საქართველოში არ იგრძნობოდა გარდაქმნის პოლიტიკით გამოწვეული შედარებითი „დათბობა", შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. საზოგადოებაში გაერთიანებული იყო ეროვნული მოძრაობის ლიდერთა დიდი ნაწილი. შემდგომ, 1988 წელს, პოლიტიკური მოსაზრებით საზოგადოება დატოვეს რადიკალურად განწყობილმა „არაფორმალებმა": მ. კოსტავამ, ი. წერეთელმა და სხვებმა. მერაბ კოსტავას ინიციატივით დაარსდა წმინდა ილია მართლის საზოგადოება, რომლის ფაქტიური თავმჯდომარეც იყო იგი სიკვდილამდე. საინიციატივო ჯგუფმა მუშაობა დაიწყო 1988 წლის სექტემბერში, რისი პირველი შედეგიც იყო 20-21 სექტემბრის აქცია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან სამხედრო პოლიგონის გაუქმების მოთხოვნით. 8 ოქტომბერს საზოგადოებამ მოაწყო პირველი მიტინგი, რომელიც სანქცირებული არ იყო ხელისუფლების მიერ. ალბათ, გახსოვთ, რომ ამის გამო დააჯარიმეს მ. კოსტავა, ზ. გამსახურდია, ი. წერეთელი, ი. ბათიაშვილი, გ. პეტრიაშვილი. 12 ნოემბერს თბილისის იპოდრომზე წმინდა ილია მართლის საზოგადოების ინიციატივით მოეწყო მრავალათასიანი სანქცირებული მიტინგი, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ერის ცხოვრებაში. მიტინგები მოეწყო აგრეთვე ბათუმში 21 ოქტომბერს და 20 ნოემბერს.

1988 წლის ნოემბერში შიმშილობის აქციაში მონაწილეობდა წმინდა ილია მართლის საზოგადოების 200 წევრი. ამ დროისათვის საზოგადოების გამგეობაში შედიოდნენ ბატონები: მ. კოსტავა, ზ. გამსახურდია, ი. წერეთელი, ი. ბათიაშვილი, თ. პაატაშვილი, ვ. ადამია, მ. გოგბაიძე, ნ. მჭედლიშვილი, თ. სუმბათაშვილი.

1989 წლის დასაწყისში საზოგადოებას გამოეყო ჯგუფი ი. წერეთლის, ი. ბათიაშვილის თ. სუმბათაშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც შემდგომ შექმნა დამოუკიდებლობის პარტია. ეს ბატონები დარჩნენ წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობაში, ვინაიდან ახალი პარტია ორგანიზაციულად საზოგადოებიდან არ გასულა.

1989 წლის 8 თებერვლის აქციას, რომელიც დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს მიეძღვნა, 25 თებერვალს გლოვის დღის აღნიშვნას მოჰყვა საპროტესტო აქციები მთავრობის სახლთან, რაც გამოწვეული იყო „ლიხნის წერილით". აქციები 25-29 მარტამდე გაგრძელდა. საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე 4-9 აპრილის პოლიტიკურ აქციაში, რის გამოც დაპატიმრებული იყვნენ ზ. გამსახურდია, ი. წერეთელი და მ. კოსტავა, 1989 წლის აპრილში შეიქმნა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი წმინდა ილია მართლის საზოგადოების აქტიური მონაწილეობით. შემდეგ იყო 19,26 მაისის აქციები, ივნის-ივლისში ქვემო ქართლსა და აფხაზეთში მომხდარი არეულობების რეგულირება. 10 სექტემბერს მერაბ კოსტავას ინიციატივით მოეწყო აქცია დევიზით—დავუბრუნოთ პატიმრებს სიყვარული. საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე „წვევამდელთა" აქციებში.

1990 წლის იანვარში საზოგადოებას გამოეყო ჯგუფი, რომელმაც შექმნა მ. კოსტავას საზოგადოება ვ. ადამიას ხელმძღვანელობით.

1990 წლის მარტის კონფერენციაზე მოხდა საზოგადოების გამიჯვნა დამოუკიდებლობის პარტიასთან. ამავე კონფერენციაზე საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს ზ. გამსახურდია. დამტკიცდა პროგრამა და წესდება.

ეროვნული ფორუმის შექმნისთანავე საზოგადოება შევიდა მის შემადგენლობაში, მაგრამ მალევე დატოვა იგი. ფორუმში დარჩა ფრაქცია გ. გოგბაიძის ხელმძღვანელობით. 1990 წლის 29 მაისს სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების პირველმა ყრილობამ საზოგადოების წევრობიდან გარიცხა გ. გოგბაიძის ფრაქციაანი ჯგუფი (წესდების უხეში დარღვევისათვის).

1990 წლის [illegible] მრგვალი [illegible] ბლოკი, რომლის მუდმივ წევრებად წმინდა ილია მართლის საზოგადოებიდან არჩეული არიან თ. პაატაშვილი, თ. შველესიანი, მ. ურიდია, გ. ხორგოლაშვილი, მრგვალი მაგიდის სპიკერი გახლავთ ბატონი ზ. გამსახურდია.

მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო, ასეთი სახელით მონაწილეობს ახალი პოლიტიკური ბლოკი უზენაესი საბჭოს არჩევნებში, რომლის დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღება დიდად განაპირობა წმინდა ილია მართლის საზოგადოების მიერ მოწყობილმა პოლიტიკურმა აქციებმა.

საზოგადოებას ჰყავს ფილიალები რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში. 15-კაციანი ჯგუფი ფუნქციონირებს ჩვენს რაიონშიც. იგი აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ აქციებში.

წმინდა ილია მართლის საზოგადოების დევიზია—მამული, ენა, სარწმუნოება.

პუბლიკაცია პრესის მასალების მიხედვით მოამზადა
ია ხმელიძემ.

კომპარტია, რეალობა, აზრი

თუ მიდიხარ, წადი!

როგორც ცნობილია, სკკპ XXVIII ყრილობაზე მოხდა „დემოკრატიული პლატფორმის" განხეთქილება, მისმა ზოგიერთმა ნაწილმა გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიიდან გასვლა და დამოუკიდებელ პარტიად გაფორმება. ამ მიზნით „დპ" ცნობილმა მოღვაწეებმა ვ. ლისენკომ, ვ. ბელოვმა ვ. ფილინმა დაიწყეს მოგზაურობა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქალაქებში ამომრჩევლებთან და პარტიულ აქტივთან შესახვედრად. ისინი მოუწოდებდნენ თავიანთ მომხრეებს რეგისტრაციაში გატარებულიყვნენ როგორც ახალი პარტიის მომავალი წევრები, მაგრამ სკკპ რიგებიდან არ გამოსულიყვნენ ოფიციალურად და პარტბილეთები არ ჩაებარებინათ მიმდინარე წლის ნოემბერში „დპ" ყრილობამდე. მოქმედების ასეთი წესი, „დპ" გამოყოფილი ნაწილის წინამძღოლთა აზრით, მათ საშუალებას მისცემს შემდგომ ოფიციალურად მოითხოვონ სკკპ ქონების, განსაკუთრებით პოლიგრაფიული ბაზის, სასამსახურო შენობების გაყოფა.

„იზვესტია ცკ კპსს"-ის დამატებაში გაზეთ „ფლასნოსტში" გამოქვეყნებულ სტატიაში „თუ მიდიხარ—წადი", ალექსეი ვერეტენიკოვი ამასთან დაკავშირებით წერს: „მოდით ყოველგვარი წუენისა და ამბიციების გარეშე ავწონ-დავწონოთ: რას შეიძლება რეალურად დაეყრდნოს „დემპლატფორმის" გამოყოფილი ნაწილი? პარტიული ქონებისა და დაგროვილის რა ნაწილზე შეიძლება განაცხადოს მან პრეტენზია? გავითვალისწინოთ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი მონაპოვარი კომუნისტთა ერთი თაობის შექმნილი როდია, და საეჭვოა, რომ ჩვენგან წასული ამხანაგები, ცოცხლებიც რომ იყვნენ, დაეთანხმებოდნენ იმას, რომ პარტიული დოვლათის ნაწილი, რომელიც მათი შრომით იქმნებოდა, უნდა გადაეცეს ადამიანებს, რომელთა პოზიციის მიმართაც არა გვგონია ისინი სოლიდარული იქნებოდნენ.

ამიტომ, განაგრძობს იგი, პირად აზრს რომ გამოთქვამენ, მომავალი ახალი პარტიის წევრებს „შეუძლიათ, ალბათ, პრეტენზია განაცხადონ მხოლოდ ქონებისა და სახსრების ისეთ ნაწილზე, რომელიც არ აღემატება სკკპ რიგებში მათი ყოფნის დროს შენატან საკუთარ თანხებს".

„მაგრამ შეიძლება დავუბრუნოთ მათ საწევროები, უკანასკნელ კაპიკამდე, თუკი ადამიანებმა ხელი აიღეს ჩვენს პარტიაზე და ყოველივე სიკეთეზე, განა რა ქნეს ისეთი? მით უმეტეს, რომ მასობრივი გაყოფა არ არის მოსალოდნელი".

„დპ" პოზიციას რომ ახასიათებს, სტატიის ავტორი წერს: „საინტერესო ლოგიკაა!—მეო, იდეურად თქვენთან არა ვარო და საწევროსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას არ ვუხდით, მოდით, ცოტა ხანს ერთად მოვითმინოთ, შემდეგ მე წავალ სხვა პარტიაში, რასაკვირველია არა კომუნისტურში, და თქვენი ქონების ნაწილსაც წავიღებ, მანამდე კი თქვენ ყოველივე ამას თითქოს ვერ ამჩნევთ, დროებით შეურიგდითო".

„მაგრამ საჭირო კია, რომ შევურიგდეთ? ვფიქრობ, ყველაზე სამართლიანი იქნებოდა ასეთ ვრცელ განცხადებაზე მშვიდად და მტკიცედ გვეპასუხა: „დადეთ მაგიდაზე პარტბილეთი!",—დაასკვნის იგი.

(საქდესი)

პირით ცხოვრებისაკენ

დღეს ბევრს ვლაპარაკობთ კომუნისტურ პარტიაზე, პარტიის ავტორიტეტი დაეცა. თუ გუშინ კომუნისტობა სახელისა და დიდების საქმე იყო, დღეს მის რიგებში ყოფნა ბევრს შეურაცხყოფად მიაჩნია. არის კამათი—რა იქნება ხვალ, რა ბედი მოელის კომპარტიას. ბოლო ორი წელია პარტიის რიგების დატოვება, პარტიული ბილეთების დათმობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ჯერ კიდევ გუშინ, პარტიიდან გარიცხავო რომ ეტყოდნენ კაცს, სიკვდილის ტოლფასი იყო, ისეთი იარლიყით დადიოდა, ყველგან გადაკეტილი ჰქონდა გზა. დღეს პარტიაზე გამწყრალნი იყოფიან კატეგორიებად. ხელაღებით, უპატივცემულოდ რომ ტოვებენ პარტიას, ეს ის ხალხია, ვინაც გუშინ წითელი მანდატით ბევრს მიაღწია, ახლა სხვა დროა და ეროვნულ მოძრაობაში ეძებენ კარიერას.

არის კომუნისტთა მეორე კატეგორია—ობივატელური თვალსაზრისის, რომლებიც ელოდებიან, რა იქნება ხვალ, საით გადაიხრება დროის სასწორი.

უმრავლესობას წარმოადგენენ მესამენი, დიდი ფენა, რომელიც პარტიაში ანგარებითი მიზნებით არ შესულა, რწმენით შევიდა და დღეს, როცა პარტია განსაცდელშია, უკიდურესად უჭირს, არ ღალატობს, პირიქით, იბრძვის მისი ავტორიტეტის აღდგენისათვის. მეც ვდგავარ მათ რიგებში. მხოლოდ ერთია— დღეს, როცა საქართველოში მრავალპარტიულობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, კომუნისტურ პარტიასაც თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს სხვა პარტიებთან ერთად და არა მმართველი პარტიისა. მას ოპონენტებთან ბრძოლით, წმინდა ეროვნული საქმეების კეთებით სარგებლობის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის. ავტორიტეტი კი მოიპოვება იმით, რომ პარტიამ გაწმინდოს უნდა თავისი რიგები მექრთამეებისაგან, ბიუროკრატებისაგან, კორუმპირებული პიროვნებებისაგან, მერყევი ელემენტებისაგან, იგი საქმით უნდა ახორციელებდეს წესდების მოთხოვნებს, ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს.

აქვე მინდა გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება რესპუბლიკის კომპარტიის დამოუკიდებლობის მიმართ, ნამდვილად არაა საჭირო ცენტრისადმი, საკავშირო კომპარტიისადმი დაქვემდებარება.

რაც შეეხება იმას, რომ კომუნიზმი ჩვენი საზოგადოებისათვის ყალბი იდეალია, და ეს დაადასტურა ცხოვრებამ, უნდა შეიცვალოს სახელწოდებაც. ჩემის აზრით, უმჯობესია ერქვას საქართველოს სოციალისტური პარტია. მაგრამ სახელწოდების შეცვლას უნდა მოჰყვეს განახლებადი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის საფუძველი. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია კი უარვყავით, ასე, რომ საჭიროა რაღაც ახალი იდეოლოგიის შექმნა.

პარტია რადიკალურად უნდა შემობრუნდეს დროისაკენ, ცხოვრებისაკენ.

ვლ. დავითულიანი.



უკრაინის სსრ. მეორე წელია ივანე გუსარი ტერნოპოლის რაიონში საკუთარ ფერმერულ მეურნეობას ეწევა. წლევანდელი წელი გულუხვი აღმოჩნდა. მიღებულია ხორბლის კარგი მოსავალი, უკვე შემოდის წიწიბურა. ფერმერთა თვალს ხშირი სიმინდის ყანაც ახარებს.

სურათზე: ეს აგრეგატი რომელსაც გულდასმით ამზადებენ ფერმერები, მარცვლის გაწმენდაზე მუშაობს.

ი. ილენკოს ფოტო.
(საქდესის ფოტოქრონიკა)

სახელოვანი ლეჩხუმელი ქალები

„ბანოვანი“

ლაჯანის თვალწარმტაცი ხეობა. მის მარცხენა ფერდობზე შეფენილი სოფლები ლაჯანა და გაგულეჩი ისტორიულად ცნობილი დასახლებებია. ჟქ ედოთ ბინა ლეჩხუმსა და მის ფარგლებს გარეთ ცნობილ თავადებს გელოვანებს, რომელ გვარშიდაც ბევრი საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება აღიზარდა.

სწორედ ამ გვარმა მისცა ქართულ მწერლობას ცნობილი მწერალი ქალი დესპინე გელოვანი, „ბანოვანის“ ფსევდონიმით რომ შევიდა მწერლობაში.

დესპინე გელოვანი 1888 წლის 16 დეკემბერს დაიბადა ლაჯანაში, შეძლებული თავადის დავით გელოვანის ოჯახში.

მამის ტრადიციული შეხედულების გამო, ქალიშვილის სასწავლებელში გაგზავნა არ მოხერხდა და წერა-კითხვას დედა ასწავლიდა. ნიჭიერი გოგონა დიდი მონდომებით დაეწაფა წიგნებს და ქართული ლიტერატურა ღრმად შეისწავლა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდანვე დესპინე გელოვანი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის იბრძოდა, ქალაქში მოხვედრაზე ოცნებობდა. იგი ლეჩხუმის ფეოდალურ წრეებში ფეხმოკიდებულ, ოჯახში ქალის ჩაკეტვის ტრადიციებს ვერ ურიგდებოდა. მისთვის ბედნიერი წუთები, მხოლოდ მაშინ დგებოდა, როცა კერძო მასწავლებლების გაკვეთილების შემდეგ საშუალება ეძლეოდა მათთან ესაუბრა საინტერესო თემებზე, მტკივნეულ საკითხებზე. ყოველივე ამან აღუძრა მას სურვილი გამხდარიყო გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი, გამოსულიყო ხალხში და ემხელებინა იმდროინდელი უკულმართი ცხოვრება, სწორედ ამან ააღებინა მომავალ მწერალ ქალს კალამი ხელში.

დესპინე გელოვანი მტკივნეულად განიცდიდა ლეჩხუმში არსებულ მდგომარეობას —გაუნათლებლობას, ჩამორჩენილობას, ძალმომრეობას, უსამართლო ჩაგვრას.

ბანოვანმა წერა პატარ-პატარა კორესპონდენციებით დაიწყო. ის ამხელდა ლეჩხუმ—სვანეთის მაზრაში მეფის ბიუროკრატი ჩინოვნიკების თავგასულობას და ბოროტმოქმედებას.

საოცარი იყო მწერალი ქალის ერუდიცია და კრიტიკული აზროვნების უნარი. ლეჩხუმის მთებში დაბადებული და გაზრდილი, სიცოცხლის ბოლომდე იქვე ცხოვრობდა. ის ქვეყნის მაჯისცემას თვალყურს ადევნებდა მხოლოდ პრესის საშუალებით. მხედველობიდან არ რჩებოდა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, მათი დაკვირვებითა და გაანალიზებით ამდიდრებდა თავის შემოქმედებას. მან, ფიზიკურად და სულიერად ლამაზმა და ჯანმრთელმა, განათლებულმა და არისტოკრატიული აღზრდით მაღალკულტურულმა ქალმა, უარი თქვა პირადულ, კეთილ ცხოვრებაზე. თავისი ცოდნა და ენერგია სამშობლოსა და მის მომავალზე ფიქრით შექმნილ ნაწარმოებებში ჩააქსოვა.

დესპინე გელოვანში დიდი ვაჟკაცური სული, ბრძოლის უნარი, შემართება იყო. ის უშიშრად, კრიტიკით გამოდიოდა ძალმომრეობის წინააღმდეგ, თავისი საყვარელი ხალხის დასაცავად. არავინ იცის, როგორ ახერხებდა მამხილებელი წერილების ბეჭდვას. მის წერილებს კი, სად არ შეხვდებოდით, რომელ გაზეთებში: „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „თემსა“ და „სახალხო ფურცელში“, ბევრი მტერი გაუჩნდა ახალგაზრდა ქალს.

ცხრაასხუთიან წლებში, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, მაზრის უფროსის პაშკოვის დაბეზღებით გადაწყვეტილი იყო მწერალი ქალის მშობლების სახლ-კარი გადაეწვათ. ეს არ გაუჭირდებოდა ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელ რაზმს, მაგრამ სახედნიეროდ, საქმეში ჩაერია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ნათესავი ქალი დადეშქელიანი და გელოვანების სახლ-კარი გადარჩა.

ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის შემდეგ დესპინე გელოვანი კულტურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. მშრომელი მასების გათვითცნობიერების მიზნით ხალხში გავიდა და თეატრალური მოღვაწეობა დაიწყო სოფლებში: ცაგერში, ლაილაშსა და ლაჯანაში.

დესპინე გელოვანი თავდადებული მამიდა იყო ძმისწულებისათვის. იგი არა მარტო წერა-კითხვას ასწავლიდა, არამედ ხელმძღვანელობდა მათ საერთო განათლებას, ზნეობრივ აღზრდას და ისინიც-სამი და და სამი ძმა, მამიდას უმადლიდნენ მამულიშვილებად ჩამოყალიბებას.

უმცროს ძმისწულს, ანდრია გელოვანს, ფართო განათლების და დახვეწილი კულტურის იურისტს, დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მანვე იზრუნა და დიდი ამაგი დასდო მამიდის ხსოვნას, როცა მისი ლიტერატურული მემკვიდროების მასალების შეკრებას შეუდგა. დ. გელოვანის შემოქმედების შეგროვება არც ისე იოლი აღმოჩნდა, ამიტომ წლები დასჭირდა იმ მემკვიდრეობის მოკვლევას, რომელიც დღეს ჩვენთვის არის ცნობილი.

დ. გელოვანი დამოუკიდებლად გაიზარდა ქართული ლიტერატურის ტრადიციებზე და ფართო განათლებაც მიიღო, რაც კარგად გამოჩნდა მის მხატვრულ ტილოებში. ძალდაუტანებელი კალამი, გამართული ქართული, მხატვრული ენა მის ნაწარმოებებს თავიდან ბოლომდე საინტერესოს ხაკითხავს ხდის. დესპინე გელოვანმა პირველად კორესპონდენციების წერა დაიწყო. შემდეგ ხელი მიჰყო საინტერესო ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევებს. მერე მხატვრული ნოველების შექმნაზე გადავიდა. სულ მალე პატარ-პატარა მოთხრობებიც დაწერა. ასეთებია „ისრაელის ასულმა გაიმარჯვა“, „ვეღარ ეგუა სული ჩემი“, „ლეგენდა“, „პირველყოფილი ქალი და კაცი“ და სხვა.

ყველაზე დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა მწერალ ქალს მისმა რომანებმა „სამართალს სისხლით იღებენ“, რომელიც 1926-27 წლებში ჟურნალ „მნათობში“, დაიბეჭდა და „შორეული ლანდები“, რომელიც 1960 წელს გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

ორივე რომანი ეძღვნება ლეჩხუმ-სვანეთის ცხოვრებას. მასში ერთმანეთთან არის დაპირისპირებული ძველი გადმონაშთი, ფეოდალური ყოფის ადათ-წესები და ბრძოლა ახალი, სამართლიანი ცხოვრებისათვის.

„შორეული ლანდები“, როგორც თვითონ ნაწარმოების სათაური გვიჩვენებს, ჩვენი ქვეყნის შორეულ წარსულს ეხება, სახელდობრ, მე-17 საუკუნის საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს—ლეჩხუმს. ამ წიგნზე ათეული წლები მუშაობდა მწერალი.

რომანი აქტუალურია, მასში ისტორიის წამყვანი ძალა ხალხია. ნათლადაა ასახული მაშინდელი ლეჩხუმის, მისი მეზობელი კუთხეების ცხოვრება, სამეგრელოს მთავრების დადიანების ბრძოლა ლეჩხუმში ბატონობისათვის.

მწერალი თვითონ ფეოდალური წრიდან არის, მაგრამ კარგად იცნობს ერთი მხრივ, თავად აზნაურობისა და ეკლესიის მსახურთა, ხოლო მეორე მხრივ, გლეხების ცხოვრებას და მათ დაპირისპირებულ ბრძოლაში მთელი სიმპათიით ხალხის მხარეზეა, მისი აზრით, ხალხია შემოქმედი ეროვნული ზნეობის, მატერიალური დოვლათის, კულტურის, სწორედ მასშია მაღალი პატრიოტული გრძნობა.

დესპინე გელოვანი გარდაიცვალა 1934 წელს. იგი ისე წავიდა ამა ქვეყნიდან, რომ ვერ მოესწრო მისი რომანების ცალკე წიგნებად გამოცემას.

ამჟამად, როცა საქართველოში დიდი ეროვნული მოძრაობაა, კარგი იქნება თუ რომელიმე გამომცემლობა ან კოოპერატივი ითავებს და გამოსცემს დესპინე გელოვანის რომანებს.

ჩვენი საფოსტო ყუთიდან

●

სანამ გაგრძელდება ასე?

რაიონის ცენტრში არსებული ერთად-ერთი ავტოსადგური სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული. რამდენიმე თვის წინ იმის გამო, რომ შენობის სახურავიდან წვიმა ჩამოდიოდა, მოსაცდელ დარბაზში ისე წვიმდა როგორც გარეთ, ანტისანიტარია იყო გამეფებული, მოსაცდელის კარები ჩაჭედეს და მგზავრები ქუჩაში დარჩნენ.

როგორც ჩანს გაჭირვებაში ჩავარდნილი მგზავრების თხოვნა ვიღაცამ ყურად იღო, ცოტა რამ შეარემონტეს და მგზავრებს შესაძლებლობა მოგვეცა სიცხესა თუ წვიმაში თავი შეგვეფარებინა დარბაზში და დავლოდებოდით ავტობუსს. მაგრამ 6 სექტემბრიდან რაიონის სანეპიდსადგურმა კვლავ დალუქა ავტოსადგური.

მართლაც სამარცხვინოდ არის ავტოსადგური და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორია. ბევრჯერ იყო რაიონულ გაზეთში გაკრიტიკებული ავტოსადგურის, კომუნალური მეურნეობისა და ბაზრის ხელმძღვანელები იმისათვის, რომ ენით გამოუთქმელი უსუფთაობაა ამ ტერიტორიაზე არსებულ ერთად-ერთ ტუალეტში.

ძალიან გვიკვირს, რატომ არავინ აქცევს ყურადღებას ამ მეტად მტკივნეულ საკითხს, რას გვერჩიან მგზავრებს ან ბაზარში პროდუქტების გამყიდველებს? ბუნებრივია, ყველას სჭირდება ტუალეტი და რატომ არ მოსდით აზრად კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელებს ამ ტერიტორიაზე ჰქონდეთ საერთო სარგებლობის ტუალეტი თუნდაც ფასიანი, ამაზე უარს არავინ იტყვის, პირიქით—ყველა მივესალმებით.

ამ წერილს ვწერთ მგზავრები სურათების გალერეის წინ, სადაც განუკითხავად ვყრივართ წვიმაში ბავშვებით. ვფიქრობთ, დარბაზის დალუქვა იოლია, მაგრამ საჭიროა შემდეგ მიაქციოს ვინმემ ყურადღება არსებული მდგომარეობის გამოსწორებას. სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ მოლარე სადგურის წინ ქოლგაგადაფარებული ყიდის ბილეთებს.

ჩვენი აზრით, სანეპიდსადგურს უნდა დაელუქა არა მარტო ავტოსადგური, არამედ ბაზარიც, როცა ბაზარი დაიკეტებოდა, შეიძლება შემდეგ მაინც მიექცია ვინმეს ყურადღება და ეზრუნა სამარცხვინო ფაქტის გამოსწორებისათვის.

რომ ვიკითხეთ, თუ ვინ უნდა იზრუნოს ავტოსადგურის კეთილმოწყობისათვის, გვითხრეს, ეს სადგური ეკუთვნის ქუთაისის საკვანძო სადგურსო. საინტერესოა, ამ საკვანძო სადგურის ხელმძღვანელობამ თუ იცის ცაგერის ავტოსადგურში არსებული მდგომარეობა? ისიც გვტკენს გულს, რომ სადგურის წინ არსებული ხეების ძირში ვერ გაჩერდებით, პირუტყვის ნაკელით არის სავსე. ხელბარგი ძირს ვერ დავიდგამს. სანამ გაგრძელდება ასე?

მოვითხოვთ, რაისაბჭოს აღმასკომმა, მისმა შესაბამისმა განყოფილებამ მიიღოს სასწრაფო ზომები ქალაქის ავტოსადგურისა და მისი შემოგარენის წესრიგში მოყვანისათვის.

ნატო კოხრეიძე,
ვთერ ცხვედიანი,
ნატო ჩიქოვანი,

სულ წერილს ხელს აწერს 15 მოქალაქე.

გზა გაეხსნა რეგერვებს

(დასასრული).

ახლებურ შრომას კარგად აუღეს ალღო საწარმოს მოწინავე მშრომელებმა, მექანიზატორებმა მიშა და დავით ფოჩხიძეებმა, ჯაბო დავითულიანმა, რუბენ გოგიძემ, გივი გასვიანმა, სარემონტო სახელოსნოს მუშებმა სერგო ყურაშვილმა, უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებმა გიორგი სილაგაძემ, ტარიელ საღინაძემ, მძღოლმა ლერი იმნაძემ, ინჟინერმა გრიშა სვანიძემ და სხვებმა, რომელთა ბეჯითმა შრომამ განაპირობა საერთო წარმატება.

მოგვეცა საშუალება ჩვენ თვითონ, ჩვენი შეხედულებით მიზნობრივად და გონივრულად გამოვიყენოთ მატერიალური წახალისების ფორმები. ახლებურად შრომამ საგრძნობლად გაზარდა შრომის საზღაური. მუშის საშუალო ხელფასი 270-300 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო ცალკეულ მუშაკებს ორჯერ და მეტი ანაზღაურება აქვთ. ასე მაგალითად, მექანიზატორ ჯაბო დავითულიანის საშუალო თვიური ანაზღაურება 700 მანეთს შეადგენს, ხოლო ძმები მიშა და დავით ფოჩხიძეები შესაბამისად თვეში 550-600 მანეთს ღებულობენ. გარდა ამისა საწარმოს მუშები ყოველ კვარტალში იღებენ პრემიას, იღებენ ასევე მე-13 ხელფასს, პრემიას—მასალების ეკონომიაზე, კლასის წანამატზე და პრემიას სტაჟისათვის.

რაიონში კოლმეურნეობების გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის გადამწყვეტი ეტაპია. ყველას აფიქრებს თუ როგორ იქნება მიწის დახვნის, ტექნიკით დამუშავების საქმე, ის რომ სოფლად მცხოვრებ მიწის პატრონს, გლეხს თუ მოსამსახურეს მიწის დამუშავების არავითარი ტექნიკური საშუალება არა აქვს, მუშა გამწევი ძალა კი აქა-იქ, თითზე ჩამოსათვლელია. ხვნა-თესვის შეუფერხებლად ჩასატარებლად, აუცილებელია შეექმნათ მექანიზებული რაზმები, რომლებიც არა მარტო ტრაქტორებითა და ავტომანქანებით, არამედ მცირე მექანიზმებით, „კროტის“ მარკის სათოხნი აგრეგატებითაც შეიძლება დროულად დაკომპლექტეს და მოემსახუროს მიწათმოქმედებს.

უკვე გავაფორმეთ ასევე ხელშეკრულება რაიონში მოქმედ სამშენებლო ორგანიზაციებთან, საგზაო სამმართველოსთან და ჩვენს ხელთ არსებული 3 ბულდოზერითა და 5 ექსკავატორით მათთან ჩავატარებთ მიწისმთხრელ სამუშაოებს.

საქმისადმი ასეთი მიდგომით გვწამს, რომ მომავალში უკეთეს წარმატებებს მივაღწევთ.

ლეჩხუმური ყოფა, ტრადიციები

ქურა

გამოსაწვავი ჭურჭლის ქურაში შეწყობისას იცავდნენ თანმიმდევრობას. ჯერველ რიგში შედგამდნენ ჭურებს. ერთ შედგმაზე 12 ცალი ჭური ეტეოდა. ამ ჭურებს ერთიმეორისაგან კეტავდნენ გატეხილი გამომწვარი ჭურის თავებით, რომ მუცლები არ მიდებოდა ერთიმეორეს. ჭურებს შაღლა დააწყობდნენ ქვევრს. რამოდენიმე ცალს, შემდეგ დანარჩენ ჭურჭელს: დოოას, ჩაფს, ხალამს, ნიტრას, გულბანამდის. რომ შეიცსებოდა ქურა, დიდ კარებს ქვით ამოაშენებდნენ, რომელსაც ორ პატარა კარს დაუტოვებდნენ შეშის შესაზრავად. ბითამად რომ ამოაშენებდნენ, არ იყო სწორი.

გამოწვას იწყებდნენ ფუტუროს კვამლის ხრჩოლით. ხუთი დღის განმავლობაში უჩუვლებდნენ ფუტუროს და თანდათანობით უმატებდნენ ცეცხლს, ამის შემდეგ შეუნთებდნენ შეშას. სამი დღის მანძილზე შეშის ცეცხლი ენთო. ნაკვერჩხალი ქურის დიდი კარებიდან უკახა კარებამდე უნდა გასულიყო. რამდენიმე სანტიმეტრზე, რომ გავიდოდა, ქურის გამომწვავი იტყოდა „ჩემმა ქურამ გოუწია ცეცხლით ბოლომდისო“ (ანზორ კაბოსნიძე).

ქურა რომ გამოიწვებოდა, ოქროსფრად აბზინდებოდა. გადადუღებული თიხის ჭურჭელი თუ კარგი გამომწვარი იყო, ჯერ წითელი იქნებოდა. შემდეგ კი შავი. ქურა 3-4 დღეში გაცივდებოდა. ჩამოშლიდნენ დიდ კარს. გამომწვარი ჩაწყობილი ჭურჭლის დაოღვევას იწყებდა ნიტრიდან. ბოლოს გამოიტანდა ჭურს. კარგი გამომწვარი ჭურჭელი დანის გაკვრისას ნაპერწკალს გაყრიდა, ისე როგორც კვესი. მაგრამ თუკი ჭურჭელს გამოწვა დააკლდებოდა—დეიხუახვებოდა, რაც ძალიან იშვიათად შეიძლება მომხდარიყო.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლეჩხუმი“ № 115

საირმის კლდეთა „საიდუმლოება“

ჭური

ჭურების მიწას ყოველ მოზელაზე უმატებდნენ მსხვილ ქვიშას (მსხვილ ქვიშას ძხოლოდ ჭურების დასამზადებლად ხმარობდნენ). აყალო მიწას და რიონის სილას ერთმანეთში აურევდნენ და ფეხით ზელდნენ, როცა კარგად დაიჭყლიტებოდა მიწა ჯადებივით აჭრიდნენ, ნედლად შეინახავდნენ მოღობლში. თავზე ანწლის, გვიმრის ან კვახის ფოთოლს დაადებდნენ სინესტის შესანახად.

კალაპოტად აჭრილ თიხას მუჭით გაასწორებდნენ. ხელით გააკეთებდნენ მუჯურის, გადაიტანდნენ მურგზე, ატრიალებდნენ და თანდათან უმატებდნენ მიწას. როდესაც ქუდი გაკეთდებოდა, მურგვიანად გადმოიღებდნენ და გადატრიალებული სკამის ფეხებში მოათავსებდნენ, ანდა ბირკებს შეუდგამდნენ. მოაქნიდნენ რამდენიმე სანტიმეტრზე გურგუსალებს. შემდეგ ჩამოიღებდნენ, დადგამდნენ ძირს, დაუდგამდნენ სამ ქვას. ქვა შიგ რომ არ შესულიყო, გაუკეთებდნენ ბინიკებს, ბოკონებს. მერე ორ დღეში ერთხელ, ან სამ დღეში ერთხელ აქნიდნენ გურგუსალებს (დღეში ორ გურგუსალს) თან აყოლებდნენ ბინიკებს, „რომ არ წაქცეულიყო, იმიტომ აყოლებდნენ ბინიკებს“ (ანზორ კაბოსნიძე). ბინიკებს უტნევდნენ ოთხკუთხედ ყავრის ქერქს—ნაჭრებს. შემჭკნარ ნაწილს აამაღლებდნენ, დააცლიდნენ გახმობას. გამხმარი დაპატარავდებოდა, ისევ მიუმატებდნენ გურგუსალს. 10 დღეში 10 დორიანი ჭური კეთდებოდა. მოთავებამდე უძახდნენ „ჭური შეყელილი მაქვსო“ (ანზორ კაბოსნიძე). დამთავრებულს ჩაბამდნენ ყელს—შეყელავდნენ. შემდეგ ჩაბამდნენ თავს „გვარამდის რომ შეხვიდოდი, დოუტოვებდი გამოსავალს წყლისათვის“ (ვლადიმერ ყანტილაძე). გურგუსალის მოქნის შემდეგ ჭურს შიგნით და გარეთ ხელით გამოზელდნენ. შემდეგ ხის სავარცხლით გაალამაზებდნენ. ქვა რომ არ გაყოლოდა, სავარცხლით გებულობდნენ. ქვა რომ შეყვეს, გამოწვისას გამოვარდება და გაიხვრიტება ის ადგილი. ჭურის ზედაპირს მურგზე დანა-ჩხირით ასუფთავებდნენ. დამთავრებულ ჭურს თავს სრულელი ნაჭრით ულამაზებდნენ. ჭურის გვარას სატკეცით მოასწორებდნენ, ზედა ზოლისებრ ნაწილს გამოიყვანდნენ და ამით დაამთავრებდნენ ჭურების ყელს და ნაპირებს, რომ არ შემხმარიყო, კვახის ფოთოლს დააფარებდნენ.

„გამოუმწვარი მიწის ჭურჭელს ნიავი რომ დაკვროდა, დეიხუხვებოდა“ (დონია ხუციძე ჭურს ფეხზე იქამდე გააჩერებდნენ, სანამ ფრჩხილი აღარ ჩაერჭობოდა, შემდეგ დააწვენდნენ. თვენახევრის, ან ორი თვის შემდეგ ჭური უკვე ვარგისი იყო გამოსაწვავად. მეჭურჭლე იტყოდა „ჩემი ქურა არის შესადგმელიო“ (ანზორ კაბოსნიძე).

გამზადებული ჭურჭლის გადასატანად ხმარობდნენ ჩელტებდაწყობილ მარხილს. „ამას რომ მოითმენდა ჭური, მერე ვარგოდა გამოსაწვავად“. ჭურს რამდენიმე კაცი დებდა ქურაში.

საირმეში ურთმანეთისაგან ანსხვავებდნენ ჭურსა და ქვევრს. „ჭური დიდი ღვინის ჩასასხმელი ჭურჭელია, ქვევრი სამ დორიანი ღვინის ჩასასხმელი პატარა ჭურჭელი“ (კოლია კაბოსნიძე).

თონე

ვადაზელილ აყალო მიწას და სილას დაახვევენ გურგუსალებად. ამ გურგუსალს შემოავლებენ წრეხაზზე ერთ რიგად გურგუსალს, გაათხელებენ, გასწორებენ სველი ხელებით და ხის სავარცხლით, რომ გამოხმება პირველი წრეხაზი, შემდეგ მეორედ შემოავლებენ ასე, სანამ არ დაამთავრებენ თონეს. ამიტომ თონეც ერთდროულად რამდენიმე კეთდება. თონის გაკეთებისას მურგვი არ გვჭირდება, ის უძიროა. დამთავრებულ თონეს ჩავაცემენტებთ იმ სათავსოში, სადაც ეხმარობთ და იქიდან გამოვწვავთ ფიჩხის ცეცხლით.

მეთონე ერთადერთი ხელოსანია, რომელმაც დღემდე მოიტანა თავისი ოსტატობა და საირმული თიხის მადლი. დღესაც საჭირო და გამოსადეგი მისი ნახელავი.

დიდი იყო საირმელი კაცის ფანტაზია. მის ხელში თიხა ლითონსაც ცვლიდა და ხესაც. თიხა ემორჩილებოდა ადამიანის ნებას და ხელებს, იდრიკებოდა და სხვადასხვა ნივთად გარდაიქმნებოდა.

დასანახია, რომ საირმელ მეჭურჭლეთა მადლიანი ხელობა თანდათან დავიწყებას ეძლევა. თითზე ჩამოსათვლელი ოსტატები ამას ვერ უშველიან. ახალგაზრდები კი გაურბიან ამ დალოცვილ საქმეს, იქნებ ეზრუნა ვინმეს ხელი შეეწყო შემორჩენილი ხელოსნებისათვის და მიმქრალი საქმე ისევ აეღორძინებინათ. ამით შეიძლება ახალგაზრდობა დამაგრებულიყო ადგილზე და მამა-პაპურ საირმულ ჭურჭელსაც კვლავ დაბრუნებოდა ძველი დიდება.

ნ. შეღია

ჭილოსავტარ

დავით კაპიტონის ძე კოპალიანს

გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

მაყვალა სამოელის ასულ მანაგაძეს თენგიზ ერმილეს ძე გაკურაძეს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

თალიკო ჯუმბერ ქარსელაძეები, ნატო, ნოდარ მაჭარაშვილები.

მელანო გოგიტას ასულ მურცხვალაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე სასახელო ქალი.

გოგიტა, ნანული, ნინა, ჯაბა, ნინო, ნატო მურცხვალაძეები, მალხაზ სარხანიძე, გოჩა ენდელაძე.

ჩიტო ჟორჟოლიანს

გილოცავთ დაბადებიდან 60 წლის შესრულებას. კვლავაც მრავალი საუბილეო თარიღი მოგველოცოს შენთვის. იხარე, იდღეგრძელე და იბედნიერე შენს მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად.

ცაგერის რაისაავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების თანამშრომლები.

შვილ ჯამბული, რძალი ლამარა ჭაბუკიანი, შვილიშვილები ნინო, ალექსანდრე, გიორგი, შალვა ასათიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პისტი ისიდორეს ასული ბოდოკია-ასათიანი

დაკრძალვა 29 სექტემბერს, შაბათს, სოფ. ბარდნალაში.

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულიკო გიორგობიანს დედის

სონა მიქაძის

გარდაცვალების გამო.

შოთა, რეზო კოპალიანები, ზურაბ სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა საღინაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ღვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს დადაში ხეცურიანს ძმის

ისაია ზაქარიას ძე ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

ლუხვანოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნელი, შოთა ჯაფარიძეებს დედის

ნინა საღინაძის

გარდაცვალების გამო.

დომნა, გულადი, იური ხეცურიანები, ანზორ ლეთოდიანი ოჯახებით იუწყებიან

ნინა ათანასეს ასული საღინაძის

გარდაცვალებას.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს შოთა ჯაფარიძეს დედის

ნინა საღინაძის

გარდაცვალების გამო.

ბენია, ვანო, კაკო, ფარსადან, საშა საღინაძეები, შოთა ლეთოდიანი ოჯახებით იუწყებიან

ნინა ათანასეს ასული საღინაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანული და გივი ჩარკვიანებს დისა და ცოლისდის

ნინა საღინაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოში ერთადერთი ბიბლიოთეკა

სპეცარა სათბური

საქართველოს კ. ამირეჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერების მიერ შემუშავებული სათბურის ორიგინალური ვარიანტი მთლიანად გამორიცხავს პამიდორის ჩითილის მოყვანის მძიმე ხელის შრომას.

სათბურში დაყენებულ რელსებზე ნელა მოძრაობს თვრამეტმეტრიანი ხიდური შასი. მასზე დაკიდებულ აგრეგატებს შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები, ხოლო საწინააღმდეგო მიმართულებით მუშაობისას გამოცვლილი მოწყობილობით ეწევიან თესვასა და რწყვას. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ ტექნიკას სულ ორი ოპერატორი მართავს.

ამ სიახლის ეფექტიანობა პრაქტიკულად პირველმა მოსავალმა დაადასტურა. თუ ჩვეულებრივ სათბურებში ერთ ციკლში საშუალოდ 350 ათას პამიდორის ამონაზარდს იღებენ, ახალი ავტომატიზებულით, ამავე ფართობზე ორჯერ მეტი მოჰყავთ. და ამასთან პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება.

საჭირო მოწყობილობის გამოშვებას შეუდგება საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საექსპერიმენტო ქარხანა.

(საქინფორმი).

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—23-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის საბჭოთა კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.